



მანანა ტაბიძე,
მიხეილ ლაბაძე,
სოფიო კეკუა,
კესო გეჯუა

დუზჯეს ილში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრებ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარული მეტყველების ფონეტიკური თავისებურებანი

1. აჭარიდან, მაჭახლიდან და ნიგალიდან წამოსულ მუჰაჯირთა დასახლება დუზჯეს ილში.

ოსმალური წერილობითი წყაროები ცხადყოფენ, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დასრულებისას, დაზავებული მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ **მოსახლეობის გაცვლაზე** - რუსეთის იმპერიას მიკუთვნებული ოლქების იმ მაცხოვრებლებს, რომლებიც სულთნის ქვეშევრდომობის შენარჩუნების სურვილს გამოთქვამდნენ, უფლება მიეცათ, 4 წლის განმავლობაში გაეყიდათ უძრავ-მოდრავი ქონება და ოსმალეთის შიდა რეგიონებში გადასახლებულიყვნენ. სულთნის კარის მესვეურები ვალდებულნი იყვნენ, დახმარება გაეწიათ მათთვის ახალ ადგილებში ფეხის მოსაკიდებლად.

მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე დარჩენილ მართლმადიდებელ ქრისტიანებს სულთანი ნებას რთავდა, რომ რუსეთის იმპერიაში (ან, ოსმალეთის რომელიმე ყოფილ სამფლობელოში - ბულგარეთში, საბერძნეთში, სერბიაში...) გადასახლებულიყვნენ. მათ შემდგომ განსახლებაზე პასუხისმგებლობა უშუალოდ რუსეთის იმპერიის მესვეურებს ანდა ოსმალთაგან განთავისუფლებული მიწების მმართველებს ეკისრებოდათ (დემირელი, 2005:23)

თანამედროვე დუზჯეს ტერიტორიაზე, 1878 წლამდე, ეთნიკური თურქების გარდა, განსახლებულნი იყვნენ თრაკიიდან მოსული მართლმადიდებელი ბულგარელები, ასევე - ბერძნები და ბოსნიელებიც. ომის შემდგომ პერიოდში, ამ ეთნოსთა წარმომადგენლების უმეტესობამ რეგიონი დატოვა და ისტორიულ სამშობლოს მიაშურა. სწორედ მათ ყოფილ საცხოვრისზე დაასახლეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან (კერძოდ კი - აჭარიდან, მაჭახლიდან, ნიგალიდან...) წასული მუჰაჯირები. ქართული წარმომავლობის თანამედროვე თურქი ისტორიკოსი მურათ ქასაბი სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ქართველ მუჰაჯირთა პირველი ნაკადი ამჟამინდელ დუზჯეს ილში მიუღიათ **1881 წლის 18 აგვისტოს**, მაჭახლელი **ალი-მუსტაფა ბალჯიოღლის** წინამძღოლობით. ეს ხალხი ბათუმიდან გემით ჩამოუყვანიათ და დროებით დაუსახლებიათ თანამედროვე **აქჩაშეჰირის ილჩეს** მიწებზე. მთავრობის წარმომადგენლებს მათთვის გადაუციათ 450 კგ სიმინდი და 250 კგ ფეტვი, ასევე სხვა პროდუქტებიც (ქასაბი, 2019:366).

1883 წელს, დუზჯეში უკვე დასტურდება დიდი სოფელი, სადაც ერთად სახლობდნენ საქართველოდან წამოსული ქართველი („ბათუმელი“) და აფხაზი („აბაზა“) მუჰაჯირები.¹

¹ აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეთნიკური აფხაზები დუზჯეში ორი გზით მოხვედრილან: მცირე ნაწილი ქართველებსვე ჩამოჰყოლია, უმრავლესობა კი ოსმალებს ბულგარეთიდან და მაკედონიიდან გადმოუყვანიათ 1878 წელს. ეს უკანასკნელნი ტომით **სამეხი** იყვნენ (კავკასიიდან უზბეხებთან და ჩერქეზებთან



ოსმალურ დოკუმენტთა მიხედვით, მას ერქვა **ბიჩქი-ი ათიქი (Biçki-i Atık)** და მდებარეობდა ახლანდელ ქალაქ დუზჯეს ჩრდილო-დასავლეთით, ექვს-ნახევარი საათის სავალზე. **ბიჩქი-ი ათიქი** პირობითად იყოფოდა **ქართულ** და **აფხაზურ** უბნებად. ქართულ უბანში სახლობდა 37 ქართული და 5 აფხაზური ოჯახი, ხოლო აფხაზურ უბანში - 47 აფხაზური, 4 ქართული და 10 - ადგილობრივი (ანუ თურქული) ოჯახი.

1899 წლისათვის, ამ სოფლის უბნები დამოუკიდებელ სოფლებად გამოუცხადებიათ: ქართული უბნისთვის უწოდებიათ **ბიჩქი-ი ათიქ გურჯი**, აფხაზურისთვის - **ბიჩქი-ი ათიქ აბაზა**. ქართული სოფლის გამგებლად (მუხტარად) დაუნიშნავთ **შაჰინ-ალა აბდულაჰოლი**, აფხაზური სოფლის გამგებლად კი - **ნური ბეშლია-ფაშა** (ქასაბი, 2019:371-372).

ბიჩქი-ი ათიქ გურჯის თავდაპირველი მოსახლენი აჭარელი, მაჭახლელი და ნიგალელი მუჰაჯირები იყვნენ. ამასთან, აჭარლები უფრო მეტობდნენ. 1902-1911 წლებში, ხსენებული სოფლის მკვიდრებმა თანდათან შეიძინეს სამოსახლო მიწები დუზჯე-საქარიას სხვადასხვა მხარეში. მერე და მერე, მათ დაემატნენ ის თანამემამულეები, რომლებმაც იმჟამად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველო სხვადასხვაგვარი მიზეზით დატოვეს და ოსმალეთში გადმოიხვეწნენ, ანდა ოსმალეთის შუა შავიზღვისპირეთიდან (გირესუნი, ფაცა, ორდუ, უნიე, სინოპი...) თანამედროვე დუზჯე-საქარიას ტერიტორიაზე გადმოინაცვლეს. I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (ძირითადად - 1915-1916 წლებში), მუჰაჯირობის პროცესი ხელახლა გაძლიერდა. ქართველურენოვანი მუჰაჯირების დიდი ნაწილი დუზჯე-საქარიაში სწორედ მაშინ დამკვიდრდა და დააარსა ახალი სოფლებიც.

გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის, დუზჯეს ტერიტორიაზე უკვე 10 სოფელი იყო ისეთი, სადაც აჭარელი, მაჭახლელი და ნიგალელი მუჰაჯირები სახლობდნენ: **გურჯუ ჰუსეინ ალა კოი (Gürcü Huseyin Ağa köyü)**, **ჰამამუსტუ გურჯუ კოი (Hamamüstü gürcü köyü)**, **ასარ გურჯუ კოი (Asar gürcü köyü)**, **გურჯუ ჰეზარდერე (Gürcü Hızardere)**, **ქერაზლუ კოი (Kırazlı köyü)**, **გურჯუ ჩიფთლიდი (Gürcü çiftliği)**, **იეშითეფე (Yeşiltepe)**, **მუნჯურლუ (muncurlu)**, **მელენაღზი (Melenagızı)** და **მაჰირაღა (Mahırağa)**. ამათ გარდა, უშუალოდ ქალაქ დუზჯეში იყო ქართული უბანი - **Gürcü Mahallesi**, რომლის მოსახლეთა უმეტესობა აჭარიდან იყო წამოსული (ქასაბი, 2019:367). ზოგადად, ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) რაოდენობა კი, იმავე პერიოდის დოკუმენტების მიხედვით, 15 ათას კაცს აჭარბებდა. 20-იანი წლების ბოლოსთვის, დუზჯე-საქარიას რეგიონში დემოგრაფიული ვითარება რამდენადმე შეიცვალა: ქართველურენოვან მუჰაჯირთა ნაწილი უკან დაბრუნდა (მთქმელების ახსნით, მათი სამკვიდრო სოფლები იმხანად თურქეთის შემადგენლობაში შემოვიდა), ნაწილმა კი სხვა ადგილებში გადაინაცვლა. ამასთანავე, ქალაქ დუზჯეში მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

ქალაქ დუზჯეს გარდა, დღეისათვის აჭარელ, მაჭახლელ და ნიგალელ მუჰაჯირთა შთამომავლები სახლობენ შემდეგ სოფლებში:²

დუზჯეს ილჩე: ადიფინარი (Aydınpinar), ასარი (Asar), გოლორმანი (Gölormanı), დოღანლი (Doğanlı köyü), იეშითჩამი (Yeşilçamı), მუნჯურლი (Muncurlu), მუსაბაზა (Musababa

ერთად წამოსულნი 1864 წელს) და ქართული არ იცოდნენ; ქართველებთან ერთად წამოსულები კი, როგორც მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლებიც გადმოგვცემენ, ეთნიკური ქართველებივით კარგად საუბრობდნენ ქართულად. ამიტომაც, ქართველთა უბანშივე დაბინავებულან და შემდგომში, სავსებით გაქართველებულან.

² სოფლების ქართულ დასახელებებს ვწერთ ისე, როგორც ქართველურენოვანი მუჰაჯირები გამოთქვამენ.



köyü), ფუნდუკლი-აქსუ (Fındıklı-aksu), ჩაქირჰაჯი-იბრაჰიმი (Çakır Hacı İbrahim köyü), ჩიფთლიქქი (Çiftlikköyü), შიმშირი (Şemşir köyü).

აქჩაქოჯას ილჩე: დოღანჯილარი (Doğancılar köyü), ესმეჰანიმი (Esmehanım köyü), მელენაღზი (Melenagzi), უღურლი (Uğurlu), ჩიჩექფინარი (Çiçekpınar).

ჩილიმლის ილჩე: ეშვილ მაჰალესი (Yeşil mahallesi), ეშვილთეფე (Yeşiltepe), მაჰირაღა (Mahırağa), ჰიზარდერე (Hızardere).

გოლიაქას ილჩე: ჰამამუსტი (Hamamüstü), ჰაჯი-აქეფი (Hacı Yakup köyü).

ილილჯას ილჩე: ქირიქქი (Kırıkköyü).

იმ ადგილებში, სადაც უმრავლესობას შეადგენენ, აჭარელ, მაჭახლელ და ნიგალელ მუჰაჯირთა შთამომავლები ინარჩუნებენ მშობლიურ ენას, ხოლო სადაც უმრავლესობას ვერ ქმნიან, ხშირად ვეღარც მეტყველებენ ქართულად. მათი რაოდენობის აღრიცხვა საკმაოდ ძნელდება იმის გამო, რომ თურქეთის რესპუბლიკაში აღწერებისას, მოქალაქეების ეთნიკურ წარმომავლობას არ მიუთითებენ. დაუზუსტებელი მონაცემებით, ქართულად მეტყველთა საერთო რაოდენობა 20-25 ათას კაცს უნდა აღწევდეს.

დუზჯეს ილში აჭარელ, მაჭახლელ და ნიგალელ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის განზოგადებულია ქართული ენის **აჭარული დიალექტი**. მასობრივი ორენოვნების შედეგად, დასტურდება ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა აღრევა (Code-switching). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიალექტური მეტყველება უმეტესად დამახასიათებელია 40 წელზე უფროსი თაობისთვის. იმავდროულად, ქართულის კარგად მცოდნენი 40 წელზე უმცროს თაობაშიც საკმაოდ გვხვდებიან, თუმცა ისინი მეტყველებენ სამწიგნობრო ენაზე - ქართული სამწიგნობრო ენის კურსები დუზჯეში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს.

დუზჯეს აჭარული მეტყველება უნდა დაიყოს ორ - **საკუთრივ აჭარულ** და **ზეგნურ** კილოკავებად. დაყოფა ეფუძნება ერთ ღირსსაცნობ ფაქტს - მუჰაჯირთა შთამომავლები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი - ამჟამინდელი ქედის მუნიციპალიტეტიდან წამოსულები - თავს თვლიან უშუალოდ **აჭარლებად**, მეორენი - შუახევის და ხულოს სოფლებიდან წამოსულები - **ზეგნელებად**.

ამგვარი დაყოფის საფუძველი **ქედის აჭარლების** დამოკიდებულებაა: დღესაც კი, ამჟამინდელ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქედელები შუახევისა და ხულოს მკვიდრთ **ზეგნის აჭარლებს** (= მთის აჭარლებს) უწოდებენ. როგორც ჩანს, 140-წლიანი იზოლაციის პირობებში, ოსმალეთში მცხოვრებ მუჰაჯირებში მკვეთრად გაიმიჯნა მთის (შუახევისა და ხულოს) აჭარლების და ტაფობის (ქედის) აჭარლების თვითაღქმა: თემონიმი³ „აჭარელი“ დარჩათ ქედელებს, გეოგრაფიული ზოლის აღმნიშვნელი სახელიდან მომდინარე წარმომავლობის სახელი - **ზეგნელი** კი - შუახევიდან და ხულოდან წამოსულთ (ვრცლად ამის თაობაზე იხ. ფუტკარაძე, ლაბაძე, 2020: 45). რასაკვირველია, მაჭახლელი და ნიგალელი მუჰაჯირების შთამომავლებიც ამჟამად საკუთრივ აჭარულად ანდა ზეგნურად მეტყველებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ წარმომავლობით აჭარლები/ზეგნელები არ არიან.

2. დუზჯეს აჭარული მეტყველების ხმოვანთა და სონანტთა სისტემა.

³ თემონიმი - ეთნოსის სახელი; შდრ.: თემონიმი - ეთნოსის ნაწილის - თემის - სახელი.



ფონეტიკის მხრივ, დუზჯეს აჭარული მეტყველება ახლოსაა ქართულ სამწიგნობრო ენასთან - უფრო ახლოს, ვიდრე მაგალითად, თურქეთის ტერიტორიაზევე (ისტორიულ შავშეთში) გავრცელებული იმერხეული დიალექტი.

ხუთ სადა ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ) დუზჯეს აჭარულ მეტყველებაში ემატება მათი გრძელი კორელატები (ა, ე, ო, რ, უ); ასევე - პალატალიზებული რ და ჟ. ეს უკანასკნელი ხმოვნები თავს იჩენს ძირითადად, თურქულიდან შემოსულ სიტყვებში, შედარებით იშვიათად - ძირეულ ლექსიკურ ერთეულებშიც (როგორც წესი - იქ, სადაც სამწიგნობრო ქართულში და დანარჩენ დიალექტებში გვაქვს ჟე და ჟი კომპლექსები); მაგალითად: **ქულოტური** „კულტურა“, **წორი** „წვერი“, **წჷმა** „წვიმა“ და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ პალატალიზებულ ხმოვანთა პოზიცია არცთუ მყარია - თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში მათ თავისუფლად ენაცვლება სადა ო ან უ (**ქულოტური** > // **ქულოტური**), ხოლო ძირეულ სიტყვებში - ჟე და ჟი კომპლექსები (**წორი** > // **წჷერი**, **წჷმა** > // **წჷიმა**...). როგორც წესი, პალატალიზებული ხმოვნების წარმოთქმა უფრო დამახასიათებელია 40 წელზე უმცროსი თაობის წარმომადგენელთათვის, რომლებიც უკეთ ფლობენ თურქულს.

გრძელ ხმოვნებს რაც შეეხება: ესენიც მეორეული ბგერებია, რომლებიც მიიღება ან ორი ერთგვარი სადა ხმოვნის შერწყმით (ისევე, როგორც სამწიგნობრო ქართულ ენაში), ან კიდევ - ასიმილაციის გზით. მაგალითად: **გააგნებია** > **გაგნებია** „გააგებინა“, **დაუძახა** > **დოუძახა** > **დუუძახა** > **დუძახა** „დაუძახა“; არაიშვიათად, გვაქვს ასევე საკომპენსაციო სიგრძე: **ორმო** > **რმო** „ორმო“, **ერთი** > **ეთი** „ერთი“... აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ გრძელი ხმოვანი მიღებულია ორი ერთგვარი სადა ხმოვნის შერწყმით, მაშინ ის ყოველთვის ინარჩუნებს სიგრძეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც გრძელი ხმოვანი მიღებულია კომპენსაციის ანდა ასიმილაციის გზით, ხშირად კარგავს სიგრძეს და სადა ხმოვნად იქცევა; მაგალითად, გვაქვს ფორმა **დაკლია** „დააკვლევიანა“, მაგრამ არ გვაქვს ***დაკლია** - მაშინ, როცა პარალელური ფორმებია **დუძახა** და **დუძახა** „დაუძახა“, **ეთი** და **ეთი** „ერთი“ და ა.შ.

დუზჯეს აჭარულში დასტურდება ასევე, ნეიტრალური **გ** ხმოვანიც - უპირატესად ე.წ. „თანხმოვანთაგამყარის“ ფუნქციით. აკუსტიკურად, ის ძნელად აღსაქმელია; მაგალითად, ითქმის **გოგვები** და **გოგვები** „გოგოები“, **მოკდა** (//**მოკტა**) და **მოკვდა** „მოკვდა“ და მისთ. აქ თანხმოვანთკომპლექსებს ნეიტრალური ხმოვნის გარეშე წარმოთქვამს ძირითადად, 40 წელზე უფროსი თაობა (რომელიც ქართულს უკეთესად ფლობს, ვიდრე თურქულს), ხოლო ნეიტრალური ხმოვნით - უმცროსი თაობა (რომელიც თურქულს უკეთესად ფლობს, ვიდრე ქართულს). შესაბამისად, ვასკვნით, რომ ნეიტრალურ **გ** ხმოვანს ფონემატური ღირებულება არ აქვს.

დასტურდება **ი** და **ჟ** სონანტებიც. ამასთან, ძირეულ ქართველურ სიტყვა-ფორმებში ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ **ი** და **უ** ხმოვნებთან: **არაიან** // < **არიან** „არიან“, **წართჟა** // < **წართჟა** და ა.შ. თუმცა, თურქულიდან ნასესხებ ფორმებში **ი** /**ი** მონაცვლეობა არ ხდება - როგორც ცნობილია, თურქული **y** სონანტი არ არის. ქართულად ის **ი** სონანტით გადმოიცემა, მაგრამ ამ უკანასკნელს სრულხმოვანი ი არასოდეს ენაცვლება. მაგალითად, ითქმის: **იაშარი** (< თურქ. **Yaşar**) „იაშარი, მამაკაცის საკ. სახელი“, **იარი** (< თურქ. **Yarı**) „შეყვარებული“ და არა - ***იაშარი** ან ***იარი**. ასევე: თურქულიდანვე ნასესხებ სიტყვებში, **ჟ** სონანტი სისტემურად გადმოცემს თურქული ენის კბილბაგისმიერ **v** (ანდა **f**) სპირანტ თანხმოვნებს: **აჟჯი** (< თურქ. **Avci**) „მონადირე“, **ჟესიეთი** (< თურქ.-არაბ. **Vesiyet**) „ანდერძი“, **მუთჟალი** (< თურქ.-არაბ.



Mutfak) „სამზარეულო“ და ა.შ. რასაკვირველია, ამგვარ შემთხვევებში უ სონანტს არასოდეს ენაცვლება უ ხმოვანი.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სიტყვის თავში ყველა ხმოვანი წარმოითქმის ე.წ. „მაგარი შემართვით“ - წარმოითქმისას, დამატებით სახმო სიმების იჭიმება. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, ხმოვნის წინ მოისმის სუსტი, ხორხისმიერი ხშული ბგერა, რომელიც ტრანსკრიფციაში **ჲ** ნიშნით ანდა აპოსტროფით აღინიშნება. **ჲ** ჩვეულებრივი თანხმოვანია, მაგრამ როცა ხმოვნის მაგარი შემართვის ელემენტია, მას ფონემატური ღირებულება არ აქვს. სწორედ ამ მიზეზით, მაგარ შემართვას ტრანსკრიფციაში არ აღნიშნავენ, რადგან ხსენებული მოვლენა თავს იჩენს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ პოზიციაში.⁴

3. თანხმოვანთა სისტემა

დუბიჯეს აქარულ მეტყველებაში დასტურდება ყველა ის თანხმოვანი ფონემა, რაც გვაქვს სამწიგნობრო ქართულ ენაში: **ბ, ფ, პ, გ, ჟ, კ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, ვ, ჟ, შ, ზ, ს, ღ, ხ, ყ, ჰ, ც, მ, ნ, რ, ლ**. ორთოეპიული ნორმებიც იგივეა, გარდა რამდენიმე ძალზე ღირსსაცნობი შემთხვევისა, რომელთაც აქვე განვიხილავთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას ის, რომ 40 წელზე უმცროსი თაობის მეტყველებაში გარკვეულწილად შერყეულია მკვეთრი თანხმოვნების (glotalized consonants) წარმოთქმა - მათ ენაცვლება შესაბამისი რიგის ფშვინვიერები, მჟღერები ანდა ნაპრალოვნები; მაგ.: **ბიჭი > ბიჩი**, **ბიჭი** „**ბიჭი**“ **კამ > გამ** „**კარგი**“, **წევდა > *ცევდა > სევდა** „**წავიდა**“ და ა.შ.

შეინიშნება ამგვარი თავისებურებაც: აკუსტიკურად ძნელი გასარჩევია, მკვეთრია თანხმოვანი თუ შესაბამისი რიგის ფშვინვიერი; მაგალითად, სოფ. ჩიფთლიქოის მკვიდრნი - 45 წლის ერდალ აიდინი და მისი ოჯახის ახალგაზრდა წევრები, რომელთაც მშობლიური სოფლის გარდა, სხვაგან არსად უცხოვრიათ, სიტყვებს: **კეტი** „**ჭოკი**“, **ჭიბონი** „**გუდასტვირი**“, **წორი** „**სწორი**“... წარმოთქვამდნენ თითქმის ისე, როგორც „**ქეთი**“, „**ჩიბონი**“ და „**ცორი**“, მაგრამ როცა ჩვენც ამ სიტყვებს ფშვინვიერი თანხმოვნებით წარმოვთქვამდით, მათ ძალზე ეუცხოებოდათ.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, შესაძლებელია, გვექონდეს იმგვარივე (ან მსგავსი) თანხმოვნები, როგორიც დასტურდება, მაგალითად ოსურში (ახვლედიანი, 1933:2), ანდიურში (ცერცვაძე 1964: 23), ადიღური ენის ბჟედულურ და შაფსულურ კილოებში (როგავა 1966:34) და ა.შ. ესაა ე.წ. „მინიმალურად ფშვინვიერი“ ანუ პრერუპტივი ბგერები, იგივე

⁴ იხ. არნ. ჩიქობავასა და ი. ცერცვაძის შეხედულება ხუნძური ენის ხმოვანთა მაგარ შემართვაზე: „ყოველი თავკიდური (ასევე ცალკე წარმოთქმული) ხმოვანი ხუნძურში - მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოდ სხვადასხვა დიალექტში - მაგარ შემართვიანია: ხმოვნის წარმოთქმაში ერევა ბგერა (თანხმოვანი), რომელიც უდრის ზანურიდან ცნობილ **ჲ**-ს... რაკი მაგარ შემართვიანი ხმოვანი სრულიად გარკვეულ შემთხვევაში იჩენს თავს და ფონემა არ არის, მისთვის სპეციალური სატრანსკრიფციო ნიშანი არ არის აუცილებელი“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, გვ. 23). შდრ. ასევე, ნ. ქუთელია: „ლაზურს მიდრეკილება აქვს ანლაუტის გართულებისაკენ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მარტივხმოვნიან ანლაუტს ლაზური ერთგვარად გაურბის“ (ქუთელია 2005, გვ. 45). უკანასკნელი მოსაზრება, რომელიც ნ. ქუთელიამ ლაზურის შესახებ გამოთქვა, თამამად შეგვიძლია, თითქმის ყველა ქართველურ კილოზე და თვით სალიტერატურო ენაზეც კი განვაგრძოთ. მეტიც - ნათლად ჩანს, რომ „ანლაუტის გართულება“ ანუ თავკიდური (ანდა ცალკე მდგომი) ხმოვნის შემართვით წარმოთქმა საერთო იბერიულ-კავკასიური თავისებურებაა. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ხსენებულ მოვლენას გამოწვლილვითი შესწავლა ესაჭიროება.



„ნახევარაბრუპტივები“ (ი. ცერცვაძის ტერმინია). ახალგაზრდა დუზჯელთა მეტყველებაში ისინი, უდავოდ, ალოფონური ბგერებია, რამდენადაც დუზჯელთა უფროსი თაობა, როგორც აღინიშნა, მკვეთრ თანხმოვნებს თავისუფლად წარმოთქვამს.

რამდენადაც დუზჯეს აჭარული მეტყველება აქამდე შესწავლილი არ ყოფილა, ჩვენს მიერ აღწერილი მოვლენა სხვა მკვლევრებს დაფიქსირებული არა აქვთ. არადა, ფაქტია, რომ ახალგაზრდა დუზჯელთა მეტყველებაში მკვეთრი თანხმოვნები უკვე დაკარგვის გზაზეა. ექვგარეშეა, რომ ეს პროცესი თურქულენოვანი გარემოს წამლევკველი გავლენის შედეგია.

მეორე ღირსსაცნობი ნიშანი, რაც დუზჯეს აჭარულში დასტურდება, არის არავიბრანტი [რ] სონორი. მისი წარმოთქმის დროს ნუნებთან ენის წვერის ვიბრაცია არ ხდება. ამგვარი თანხმოვანი დამახასიათებელია უმეტესწილად ე.წ. **საკუთრივ აჭარელთა** (ანუ, დღევანდელი ქვემო აჭარიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავალთა) კილოკავისათვის. **ზეგნელების** კილოკავში რ უფრო მეტი ვიბრირებით გამოირჩევა (**თუმცა, სალიტერატურო ქართულის შესაბამის ბგერასთან შედარებით, ენის წვერის ვიბრაცია აქაც სუსტია**).

ქვემოაჭარულ მეტყველებაში არავიბრანტი რ სონორი დაადასტურა ნარგიზა სურმაჯამ (2008:66): „ქვემოაჭარულისათვის ნიშანდობლივია რ ბგერის რეფლექსი, არტიკულაციურად რამდენადმე განსხვავებული, საერთო-ქართული რ ბგერისაგან. ამ ნიშნით ქვემოაჭარული შეიძლება დაუპირისპირდეს აჭარული დიალექტის სხვა კილოკავებს“. მკვლევარი ამას ლაზურ კილოთა გავლენით ხსნის.

ჩვენეული დაკვირვებით, არავიბრანტი [რ] დასტურდება მაჭახლურსა და ტაოურშიც, ასევე - იმერხეულსა და ბურსა-ინეგოლელ ქართველთა მეტყველებაშიც; შესაბამისად, იგი ვერ ჩაითვლება ლაზური კილოების გავლენით გვიან გაჩენილ ფონემად. სავარაუდოა, რომ არავიბრანტი [რ] იყოს საერთო-ქართველურისთვის დამახასიათებელი ბგერა (დანელია, სარჯველაძე 1985:302), რომელმაც ზოგ ქართველურ კილოში თანდათან გადაფარა ვიბრანტი რ.

არავიბრანტი რ-ს ოდინდელი არსებობის კვალი მართლაც ჩანს სალიტერატურო ენასა და მეგრულ-ლაზურ კილოთა შორის არსებულ რ : ჯ (პირი : პიჯი, ღორი : ღეჯი, ყური : ყუჯი) შესატყვისობაში - არავიბრანტი რ-ს ხშირად ენაცვლება მაგარსასისმიერი ძსონანტი, რომელიც თავის მხრივ, ქართველურ კილოებში თავისუფლად მონაცვლეობს ასევე, უკანანუნისმიერი რიგის მჟღერ თანხმოვნებთანაც (ჯ ხმულთან და ჟ ნაპრალოვანთან) - ეს პროცესი დღესაც დასტურდება ლაზურ (ათინურ-ართაშენულ და ვიწურ-არქაზულ) კილოებში, სვანურ (ბალსქვემოურ, ლენტეხურ) კილოებში, ისტორიულად დადასტურებულია ასევე მესხურში (საბა: „ჟარე“ - იარე მესხურად“). არავიბრანტი რ-სგან მომდინარეობს ჟ ნაპრალოვანი სვანურ სიტყვაში **შყაჟე** „მწყერი“ (< *შყაჟე-ი < *ჟყარ-უ-ი) და ა.შ.

დუზჯეში მოსახლე „აჭარლების“ (ქვემოაჭარლების) მეტყველებაში არავიბრანტი რ ხშირად იკარგება, „ზეგნელთა“ (ზემოაჭარელთა) მეტყველებაში კი მყარია. ეს მოვლენა კილოკავთა სხვაობის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად ქცეულა: **აჭარლები „მაილს“ რომ ვიტყვი, ზეგნელები - „მარილი“, იტყვიან** - გვამცნო სოფელ ჰაჯიაქუფის მცხოვრებმა, 52 წლის ფეფზი ჩელებიმ. როგორც უკვე ითქვა, „ზეგნელთა“ (ზემოაჭარელთა) მეტყველებაში რ ბგერა ნახევრად ვიბრანტია. შესაბამისად, მისი სიმყარეც ამითაა განპირობებული.

პოზიციურად მიღებულ თანხმოვნებს რაც შეეხება: დუზჯეს აჭარულში გვხვდება თანხმოვანი ბგერებიც, რომლებიც ინტენსიური გამოთქმით ხასიათდება. ისინი შეიძლება



იყოს ნასესხები (უცხო სიტყვებს შემოყოლილი), ანდა ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი.

ნასესხებ სიტყვებში ყველაზე ხშირად გვხვდება **ლლ** გემინატი: **ილლა** // **ილლაქი** „აუცილებლად“, **ბელლი** „ცხადი, აშკარა“, **შელლიგი** „ლხინი“, **მელლი** „ადგილობრივი“ და ა.შ. ყველა ეს სიტყვა ნასესხებია თურქულიდან. ცალკეულ სიტყვებში დასტურდება სხვა გემინატებიც - **ზზ**: **მუეზზინი** „მუედინი“, **სს**: **ჰელესსა** „ელესა [სასიმღერო რეფრენი]“, **კკ**: **ხაკკი** „ჰაკი [მამაკაცის სახელი]“ **მმ**: **ამმა** „მაგრამ“, **დდ**: **ბედდუა** „წყევლა“... ესენიც ნასესხები სიტყვებია. ჩამოთვლილ გემინატებს არაიშვიათად ენაცვლება შესაბამისი სადა თანხმოვნები და ითქმის ასევე **ილა//ილაქი**, **ბელი**, **შელიგი**, **მელი**, **მუეზინი**, **ჰელესა**, **ხაკი**... მონაცვლეობა ერთი და იგივე პირის მეტყველებაშიც კი დაგვიდასტურებია. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ **ნასესხებ სიტყვებს შემოყოლილი გემინატი (ინტენსიური) ბგერები ფონემები არაა.**

დასტურდება ასევე, ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი გემინატი თანხმოვნები: **მისსა** „მისცა“, **მოშშრა** „მოჭრა“... ანალოგიური თანხმოვნები აჭარულ კილოში პირველად დაადასტურა ჯემალ ნოღაიდელმა (1972:45); ამავე ბგერების დახასიათებისას ბესარიონ ჯორბენაძე შენიშნავს, რომ „ასიმილაცია აქ არ ივარაუდება; სც, შჭ... კომპლექსები მარტივდება (იკარგვის ც, ჭ...) ხოლო ს, შ... სპირანტები ინტენსიური გამოთქმით ხასიათდება (ჯორბენაძე 1989:544; ხაზი ჩვენია - მ. ლ.)“.

დუზჯეში გავრცელებულ აჭარულ მეტყველებაშიც ეს ბგერები აშკარად შესამჩნევი ინტენსიურობით გამოირჩევა; რაც ყველაზე საინტერესოა, შესაბამისი სადა თანხმოვნები მათ არ ენაცვლება. მიუხედავად ამისა, ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი გემინატებიც ვერ ჩაითვლება ფონემებად, რადგან ისინი პოზიციურად მიღებული ბგერებია.

4. სინტაგმატიკა. ფონეტიკური პროცესები.

დუზჯეს აჭარული მეტყველების **ხმოვანთა კომპლექსებში** ფართოდაა გავრცელებული ფონეტიკური ცვლილებები და უხვი ნაირსახეობითაც გამოირჩევა.

აე, **ოე** კომპლექსები ფონეტიკური ცვლის შედეგად სამგვარ ნაირსახეობას იძლევა: ა) სრული რეგრესული ასიმილაციით, ***ეე** საფეხურის გავლით მიიღება გრძელი ხმოვანი: ***გაეგნა > *გეეგნა > გგგნა** „გაეგო (ეტიმ. „გაეგნო“), **დაეკიდა > *დეეკიდა > დგკიდა** „დაეკიდა, გადაეხვია“, **მოეწყო > *მეეწყო > მწწყო** „შეეთვისა, შეურიგდა“; რთულ ზმნისწინებში ასეთ დროს, არაიშვიათად იცვლება ორივე კომპონენტის ხმოვანი: **გადაეყლაპა > *გედეეყლაპა > გედგყლაპა**, **გამოეყვანა > *გამეეყვანა > *გემეეყვანა > გემგყვანა**, ***წამოეგნო > *წამეეგნო > წემგნო** „თვალში შეეჩხირა“... ბ) სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული ***ეე** თავის მხრივ, განიცდის რეგრესულ დისიმილაციას - ***ეე > *იე > იე**: **გდეგნა, დდეკიდა, მდეწყო, გედდეყლაპა, გემდეყვანა, წემდეგნო**... გ) პირველადი აე ხმოვანთკომპლექსისგან სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული ***ეე** გვამლევს ერთ სადა ხმოვანს: ***უსტაები > *უსტეები > უსტები**; **ოე** კომპლექსის **ო** იქცევა სონანტ ჟ-დ: **გოგოები > გოგჟები** ...

ანალოგიურ შედეგს იძლევა პირველადი ეე, უე კომპლექსებიც: **შეეტყო > შეტყო** // **შმეტყო, ღელეები > ღელეები, ყრუ //ყურუ > ყრჟები //ყურჟები** და ა.შ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ **იე (<ია)** კომპლექსი გრძელ ზ-ს გვამლევს მხოლოდ ერთ შემთხვევაში - გარდაუვალ ზმნათა აწმყო დროის მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში: ***იენებთან > *იენებიენ > იენებჟ** „იქნებთან“; ამ დროს ზ, შესაძლებელია,



სადა ი-დაც იქცეს, ანუ სიგრძე დაკარგოს და, შესაბამისად, გვექნება პარალელური ფორმა იყნებინ.

ეა, ოა კომპლექსები კი, არასრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად, გვადლევს შესაბამისად და და ჯა დიფთონგებს: *შეაკითხა > შიაკითხა > შაკითხა „შეაგინა, შეუკურთხა“, *ჩარეა > *ჩარია > ჩარდა (ერცხჟა რა ჩარდა? „სხვა რა გზაა, რა ჩარაა?“) მოატანინა > მუატანია > მუატანმა, სამოვარი > *სამოარი > *სამუარი > სამჟარი; აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირად ასეთსავე შედეგს იძლევა პირველადი ია, უა კომპლექსებიც: აჯაბ, ისი რა კაცაჟო? „ნეტავი, ის რა კაციაო?“ *ბედდუაი > ბედდჟაი (< სპარს.-არაბ.-თურქ. Beddua) „წყევლა“ და ა.შ.

აი, ოი კომპლექსები შემდეგ ნაირსახეობებს იძლევიან: ა) არასრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული *ეი გადადის ედ დიფთონგში: *გაიგნო > გეიგნო > გეგნო „გაიგო“, დაიწყო > დეიწყო > დეიწყო, მოიტანა > მეიტანა > მეიტანა; ბ) ამ კომპლექსთა პირველი კომპონენტი უცვლელი რჩება, მეორე კი იქცევა ი სონანტად: *ზაიდე > ზაიდე (< არაბ.-თურქ. Zahide) „ზაიდე (ქალის სახელია)“, ფენწოი > ფენწოი „ლოკოკინა“ (ასევე, პარალელური ფორმაა ფენწო)

აუ, ეუ კომპლექსებიც შემდეგ ნაირსახეობებს გვადლევენ: ა) სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული *უუ საფეხურის გავლით მიიღება გრძელი უ ხმოვანი: წაუღო > *წოუღო > *წოუღო > წჳღო, შეუგნია > *შოუგნია > შჳგნა „გაუგია, მოუსმენია“ და ა.შ. ბ) უ ხმოვანი იქცევა უ სონანტად: *ჭილაური > ჭილაური „ჭილაური (სოფელია)“, *ავადეუღლი > *ავადეუღლი > ავადეუღლი „ავადმყოფი“... ამ შემთხვევაში უ სონანტი მონაცვლეობს ასევე, ბაგისმიერ ვ ნაპრალოვანთანაც და გვაქვს პარალელური ფორმები: ჭილაური, ავადეუღლი და სხვ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ აჭარული კილოს მასალაზე დაყრდნობით, ანალოგიური მოვლენის გაანალიზებისას, ბ. ჯორბენაძე ასკვნის: „ეს... მახვილის შედეგი ჩანს: პირველ შემთხვევაში მახვილი უ ხმოვანს მოუდის (წაუღო > წოუღო > წჳღო), მეორე შემთხვევაში - მის წინამავალ ხმოვანს (აქაურობა > აქავრობა). ანალოგიურად აიხსნება ეუ კომპლექსის ცვლილებაც“ (იხ. ჯორბენაძე 1989, გვ. 546).

ეო, იუ კომპლექსები ძირითადად გვადლევს, შესაბამისად ეჟ და *უუ > უ სახეობებს: *მეორე > მეჳრე „მეორე; სხვა“, მიუგზავნა > მჳგზანა, *მიუღირა > მჳღირა „მიუშვირა“ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ვასკვნი, რომ დუბჟეს აჭარული მეტყველებისათვის უცხოა ხმოვანთა თავშეყრა (ჰიატუსი) და, მის დასაძლევად ხმოვანთა კომპლექსებისგან მიიღება გრძელი ხმოვნები ან დიფთონგები, ანუ მოქმედებს „ერთი ხმოვნის“ პრინციპი. ეს, საერთოდ, მეტად დამახასიათებელია მესხური ჯგუფის სხვა კილოთათვისაც.

თანხმოვანთა კომპლექსებს რაც შეეხება: მეტად საყურადღებოა ლაბიალიზებული კომპლექსები. პირობითად, ლაბიალიზებული კომპლექსი შესაძლებელია გამოვსახოთ, როგორც Cჟ, ანუ თანხმოვანი + სონანტი ჟ.

ტერმინი „ლაბიალიზებული კომპლექსი“ ქართულ ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა პროფესორმა გიორგი როგავამ (იხ.: ჩიქობავა, ცერცვაძე 1962:81, სქოლიო). ლაბიალიზებულ კომპლექსში ჟ სონანტი „რამდენადმე შერწყმულია წინამავალ ძირეულ თანხმოვანთან,



მაგრამ მაინც ცალკე ერთეულად აღიქმება“ (იხ. იქვე). სწორედ ამით განსხვავდება ასეთი კომპლექსი ლაბიალიზებული თანხმოვანი ბგერისაგან.

ლაბიალიზებულ კომპლექსებში ძირეულ თანხმოვნად (ანდა, უკეთ რომ ვთქვათ - თანხმოვნურ ელემენტად) შესაძლოა, შეგვხვდეს ყველა თანხმოვანი, გარდა ბაგისმიერი **ბ, ფ, პ** ხშულებისა: **გემეფყანს** „გამოჰყავს“, **აძჟია** „მოადოვა; მოატყუა“, **გოგჟები** „გოგოები“ და ა.შ.

სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, დუზჯეს აჭარულში ყველა ლაბიალიზებული კომპლექსი მარტივდება, თუ მას მოსდევს თანხმოვანი: **შეძრა** „შეძვრა“, **გახრიტა** „გახვრიტა“, **[ხელი] გაწდა** „ხელის გაწვდა, ჩამორთმევა“ და სხვ.

ხმოვნის წინ ლაბიალიზებული კომპლექსი შენარჩუნებულია: **შეძჟერი** „შეძვერი“, **[ხელი] გჟწჟადა** „ხელი გაუწოდა, ჩამოართვა“... თუმცა, ზოგჯერ აქ შერწყმაც ხდება: ***ქჟემო > ქომო** „ქვემო“; ამ მაგალითში ბოლოკიდური **ო** ხმოვნის გავლენით, **ქჟ** კომპლექსის სონანტური ელემენტი და მისი მომდევნო **ე** ხმოვანი **ო** ხმოვნად შეირწყა. ასეთივე შემთხვევაა ***გაუშვებს > გჟშოფს**, ოღონდაც აქ ლაბიალიზებული კომპლექსის სონანტური ელემენტისა და **ე** ხმოვნის შერწყმით, მეორეული **ო** ხმოვნის მიღებას ხელი შეუწყო ბაგისმიერმა მჟღერმა **ბ** ხშულმა, რომელიც თავის მხრივ, შემდგომში დაყრუვდა.

დუზჯეს აჭარულშივე, ზოგჯერ, თვალშისაცემია ლაბიალიზებული კომპლექსის „გათიშვა“ ნეიტრალური ხმოვნით, ოღონდაც ამ დროს სონანტ **ჟ-ს** ენაცვლება **ვ** ნაპრალოვანი თანხმოვანი, მაგ.: **გოგჯვები** „გოგოები“, **მეათჟვეი** „[სული] მოითქვი“, **გჟშვეს** „გაუშვეს“, **თჟგვა** „თქვა“, **დათვეი** „დათვი“... ჩვენეული დაკვირვებით, ამგვარი რამ უფრო მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდების მეტყველებისათვის.

საზოგადოდ, ნეიტრალური ხმოვნით შეიძლება გაითიშოს თითქმის ნებისმიერი თანხმოვანტკომპლექსი; ამავე დროს, მნიშვნელობა არა აქვს, ჰომოგენური იქნება ის თუ ჰეტეროგენული. მაგ., პარალელური ფორმებია: **მცხენი // მსხენი** და **მცხენი // მსხენი** „ცხენი“, **ძმა** და **ძმმა**, **ფხა** და **ფხმა**, **ბუძგი** და **ბუძგგი** „ზღარბი“ და ა.შ. საინტერესოა, რომ თანხმოვნები ნეიტრალური ხმოვნით შეიძლება გაითიშოს მაშინაც, თუკი ერთ-ერთი მათგანი ლაბიალიზებული კომპლექსისგან მომდინარეობს: **შეძვრა** „შეძვრა“, **მოკვდომა** „მოკვდომა, სიკვდილი“, **გაცვლიდა** „[გა]ცვლიდა“...

რასაკვირველია, ნეიტრალურხმოვნიანი ფორმები გვხვდება ამოსავალი ფორმების პარალელურად და, ამ უკანასკნელებთან შედარებით ნაკლები სიხშირითაც გამოირჩევა; ზოგჯერ ნეიტრალურ ხმოვანს სხვა ხმოვნებიც ენაცვლება და გვაქვს: **ჭრელი // ჭვრელი // ჭერელი**, **კბილი // კვბილი // კიბილი**, **ყრუ // ყვრუ // ყურუ** და ა.შ. ასევე: **ჩჟენ // ჩვეენ // ჩუვენ** „ჩვენ“, **თჟჟა // თჟგვა // თჟუვა** „თქვა“ და ა.შ.

ფონეტიკური პროცესებიდან დუზჯეს აჭარულში გავრცელებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, რედუქცია, ბგერათა დაკარგვა და განვითარება, აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია და ა.შ.

დისტანციური რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია შემდეგი ფორმები: **დეგიჭირა // დიგიჭირა** „დაგიჭირა“, **შემემიშჟა // შიმიმიშჟა** „შემომიშვა“, **შინჯეფს** „სინჯავს“, **ყორყელი** (< ***ზორხ-ყელი**) „ხახის უკანა ნაწილი“ და ა.შ.

კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: **ფხარი** „მხარი“, **ჰჟამაჟ** // **ჰჟამაჟ** „გჟამ“, **მოკვლიდა** „მოგვლავდა“... ასევე ზემოთ განხილული ფორმებიც: **მეიტანა**, **გეფგნო**, **შაკითხა** და მისთ.



პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: **დახთა** „დახვდა“, **დათფა** „დათბა; გათბა“... უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ეს მოვლენა დუზჯეს აჭარულში შედარებით ნაკლებად გავრცელებულია: მაგალითად, უფრო ხშირია ფორმა **მოკვდა** ვიდრე **მოკტა** („მოკვდა“), ზოგან კი, სადაც ქართული ენა უკვე ნელნელა თმობს პოზიციებს, დასტურდება **მოგდა**, **გდარი** ფორმებიც კი.

დისიმილაციის ტიპობრივი ნიმუშებია: **არ არის** > **არ ალი**, * **სერასქერი** > **სერესქელი** (არაბ.-თურქ. Serasker) „ოფიცერი“, **ეუზნება** > **ეზნევა**... დასტურდება შემთხვევები ამა თუ იმ ბგერის დისიმილაციური გამჟღერებისა (**ტკიბა** „ტკიპა“) ანდა დაკარგვისა (**ცხვიპირი** „ცხვირპირი“). როგორც აღინიშნა, დისიმილაციის საფუძველზეა წარმოქმნილი, აგრეთვე ზემოთ განხილული **დეკიდა**, **გეგნო** ფორმებიც.

დუზჯეს აჭარულ მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული ასევე სუბსტიტუციაც: **დაგჯაგნის** „დაგჯაგნის, მოგერევა“, **დემიიწყა** „დაივიწყა“, **მაყაყი** // **მაყაყი** „ბაყაყი“, **ბულთი** „ბურთი“, **ტრინკი** „ტლინკი“ და ა.შ.

მეტათეზისის ნიმუშებია: **შეპოტუა** „შეტოპვა“, **ძჟილაჲ** < ***ძლივაჲ** „ძლივს“ **ჭროფი** // **ჭროფლი** „ჭოროფლი; გამონაყარი სახეზე“ და ა.შ.

რედუქციის ტიპური ნიმუშებია: **გეუდა** „გავიდა“, **ნახჟარი** „ნახევარი“, **დამალჟენ** „[და]მაღავენ“... ეგევე მოვლენა, ჩვეულებისამებრ, არაიშვიათია სახელთა ბრუნებისა თუ ზმნის უღლების დროს, შდრ.: **ნაღები** და **ნაღბის**, **ნაღბით** (ნაღბისი გაკეთუბაც კამ ვიცით ჩჟენ ნაღების გაკეთებაც კარგად ვიცით ჩვენ“) ასევე: **გეგნო** „გაიგო“ და **გეუგენი** „გავიგე“ (და მაინც: ამის პარალელური ფორმაა **გეუგენე**); რედუქციის ერთ-ერთ სახეობად შესაძლოა განვიხილოთ ასევე, ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცაც: **ჲ კაც ა[რ] იყო** (ბუჯ.) „არავინ, მეხორციელი არ იყო (*ეტიმ.* „ერთი კაცი არ იყო“), **ჭირნილ მან არ აკეთებდა ჩემ ბაბომა, ნამახ ლაზეფს აკეთებებდა** „[სამდინარო] ნავს თვითონ არ აკეთებდა ჩემი მამა, [სპეციალურად] მოყვანილ ლაზებს აკეთებინებდა“; თუმცა ეს უკანასკნელი მოვლენა შედარებით იშვიათია.

დუზჯეს აჭარულში უაღრესად გავრცელებულია ბგერათა დაკარგვა ან განვითარება. მაგალითად, საკუთრივ აჭარულ კილოკავში იკარგვის **რ** - თავკიდურა პოზიციაში: **ქა** „რქა“, **კინა** „რკინა“; თანხმოვნებს შორის: **ბძანა** „ბრძანა“, **გძელი** „გრძელი“; ხმოვნებს შორის: **წოი** „სწორი“, **ყუი** „ყური“; ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: **ჩეძბინა** „ჩაირბინა“, **რმო** „ორმო; ფქვილის შესანახი სათავსო“; სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში: **აღა** „აღარ“, **ა** „არ“... აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორ პოზიციაში **რ** ბგერის დაკარგვას ხშირად თან სდევს მეზობელი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება.

აგრეთვე, **მ** სონორი იკარგვის სიტყვის თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებში: **კლავი** // **კილავი** „მკლავი“, **წარე** „მწარე“, **რატო** „რატომ“, **მარა** (< ***მარამ**) „მაგრამ“... გარდა ამისა, იკარგვის **ვ** ხმოვანს და თანხმოვანს შორის: **გზანის** „გზავნის“; **ნ** - იგივე პოზიციაში: **მაიც** // **მაძც** „მაინც“, **დ** - ხმოვანთა შუა: **როის** // **როძს** „როდის“... ყურადღებას იქცევს ს ნაპრალოვნის დაკარგვის ტენდენციები: **ეშქიფე გუზნან**, **რუმ აგზეო შედხოლლი გემეძაროსო** „ყაჩაღებს გაუგიათ, რომ აქ შეიხოლლი გამოივლისო“, **იშტაჲ მაჲ** „მადა არ მაქვს“, **იმა ნა მივცე ქალი** „იმას უნდა მივათხოვო („მივცე“) ქალი“ და ა.შ.

5. მახვილი და ძირითადი ინტონაციური თავისებურებანი



ინტონაციურად, დუზჯეს აჭარულ მეტყველებას უპირატესად იგივე თავისებურებები ახასიათებს, რაც ზოგადად, აჭარულ დიალექტს; კერძოდ: მახვილი დინამიკურია და სუსტი. ძირითადად, ის პირველ მარცვალს მოუდის, მაგრამ თუკი სიტყვა სამზე მეტმარცვლიანია, შესაძლოა, მთავარ მახვილთან ერთად გვექონდეს ასევე, **ტონური** თანამახვილიც - უმეტესად, ბოლოდან მეორე ანდა მესამე მარცვალზე.

ხმოვანი, რომელსაც ტონური თანამახვილი მოუდის, თითქოს ამაღლებულად, ოდნავ წაგრძელებულად მოისმის. მაგალითად, **დედამისი** სიტყვაში ა ხმოვანი შესაძლებელია, სიგრძის ნიშნითაც გამოვსახოთ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აქცენტუაციის განსაზღვრაში დიდ როლს თამაშობს ენკლიტიკა: სიტყვათა შერწყმული წარმოთქმისას, არაიშვიათად, პირველი სიტყვის მახვილი ხდება მთავარი, ხოლო მეორის კი - თანამახვილი. აგრეთვე, ენკლიტიკის შედეგად, თანამახვილიც ზოგჯერ მთავარ მახვილად იქცევა ხოლმე.

კითხვით და კითხვით-მახილის წინადადებაში, ბოლოკიდურა სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალს ტონური მახვილი მოუდის - განურჩევლად იმისა, მრავალმარცვლიანი სიტყვაა თუ ენკლიტიკა. ამ დროს, ტონური მახვილი ხშირად ჩრდილავს კიდევაც მთავარ მახვილს.

აქ უნდა აღინიშნოს ასევე, ერთი თავისებურება: მიმართვისას, ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში მახვილი მუდამ ინაცვლებს ბოლო მარცვალზე, მაშინ როცა საუბრისას, როგორც წესი, პირველ, მეორე ანდა ბოლოსწინა მარცვალზეა. მაგალითად, შდრ.:

ფევი მრსულა და ფევი!

სულემანას უთქმია „სულემანს უთქვამს“ და სულემანაჲ! „სულემან!“

ეს მოვლენა შეგვეძლო თურქული ენის გავლენით გაჩენილადაც ჩაგვეთვალა, მაგრამ საქმე ისაა, რომ სამწიგნობრო ქართული ენის ზეპირმეტყველებით ფორმაშიც ზუსტად ასე ხდება. შესაბამისად, გავლენა აქ არ უნდა გვექონდეს. დავძენთ იმასაც, რომ თანხმოვანფუძიან სახელებს მიმართვისას წოდებითი ბრუნვის -**ო** სუფიქსი დაერთვის და მახვილიც, რა თქმა უნდა, ბოლოსწინა მარცვალს მოუდის:

დურსუნო! „დურსუნ!“

აიდინო! „აიდინ!“

დემურალო! „დემურ-ალი!“ და ა.შ.

ბოლო მაგალითი საინტერესოა იმითაც, რომ თურქულიდან შემოსული **დემურალი** საკუთარი სახელი ხმოვანფუძიანია, მაგრამ მისი ბოლოკიდურ ხმოვანი ასოცირდება სახელობითი ბრუნვის -**ი** ნიშანთან და, შესაბამისად, მიმართვისას ფუძეს სცილდება - მას ცვლის წოდებითი ბრუნვის ნიშანი.

6. დასკვნითი დებულებანი

დუზჯეს აჭარული მეტყველება, ფონეტიკურ თავისებურებათა მიხედვით, ძალიან ახლოსაა ამჟამინდელ აჭარაში (საქართველო) გავრცელებულ დიალექტთან - 140 წლის განმავლობაში, ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მშობლიური მეტყველება ფონეტიკურად თითქმის არც შეცვლილა. ამის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, გახლავთ ის, როგორც ცნობილია, ფონეტიკურსა და ინტონაციურ თავისებურებებს განსაზღვრავს **პერცეფციული ბაზისი**, რომელიც თავის ტვინის გრძნობა-აქმის რეცეპტორებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, მისი ცვლილება ძნელად ხდება.



მეორე მხრივ, დუზჯეში ქართული ენის აჭარულ დიალექტს ახლო მომავალში სრული გაქრობის საფრთხე ემუქრება. საფრთხეს ზრდის ისიც, რომ ახალი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წინაპრების ენის შესწავლითა და საქართველოსთან ურთიერთობით, სწავლობენ ქართულ სალიტერატურო ენას: სამწიგნობრო ქართული ენის შესწავლის შემდეგ, ისინი პრინციპულად ცდილობენ, „სწორად“ იმეტყველონ და თავს არიდებენ დიალექტიზმებს.

ქართველურენოვან მუჰაჯირთა დუზჯელი შთამომავლების აჭარული მეტყველება, ჯერ ოსმალურ-თურქული, მერე კი - თანამედროვე სამწიგნობრო თურქულ ენის გავლენის მიუხედავად, უცვლელად ინარჩუნებს საერთო-ქართველურ სისტემურ-სტრუქტურულ მახასიათებლებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1923: გიორგი ახვლედიანი, „შენიშვნა „ვჟარები, ჟარე“-ს შესახებ“, ჩვენი მეცნიერება, 6-7, თბილისი, 1923;

დანელია, სარჯველაძე, 1985: კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, „აკაკი შანიძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბილისი, 1984;

როგავა, 1952: გიორგი როგავა „ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები“ იკე, IV, თბილისი, 1952, გვ. 35-51.

ფუტყარაძე, ლაბაძე, 2020: Tariel Putkaradze, Mikheil Labadze, “Descendants of Muhajir Georgians in Giresun (Turkey) and Their Speech Codes” Qulso 6: pp. 173-185.

ქასაბი, 2019: Murat Kasap, 93 Harbi Batum Muhacirleri, İstanbul, 2019;

ქუთელია, 2005: ნათელა ქუთელია, ლაზურის ფონემატური ანალიზი, თბილისი, 2005;

ცერცვაძე, 1964: ილია ცერცვაძე, „ანდიური ენა“, თბილისი, 1964;

ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962: არნოლდ ჩიქობავა, ილია ცერცვაძე, „ხუნძური ენა“, თბილისი, 1962;

ჯორბენაძე, 1989: ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1989;